ივერი აბაშიძე

პირადი ინფორმაცია:

დავიბადე 1976 წლის 2 დეკემბერს, შუახევის რაიონში.

განათლება:

1993 წელს დავამთავრე შუახევის რაიონის, დაბა შუახევის შოთა რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა.

2000 წელს დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1999 წელს გავიარე იურისტის საკვალიფიკაციო კურსები, საქართველოს იუსტიციის სახელმწიფო სასწავლო ცენტრის ბათუმის ფილიალში.

2008 წლის ნოემბრის თვეში წარმატებით ჩავაბარე ადვოკატურის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით.

2010 წელს სსიპ ,,იუსტიციის უმაღლეს სკოლაში" გავიარე სასამართლოს მენეჯერის სასწავლო კურსი და ჩავაბარე პროგრამით გათვალისწინებული ტესტური გამოცდები.

2011 წელს ვიმყოფებოდი ამერიკის შეერთებულ შტატებში (ვაშინგტონი, ბოსტონი), ,,OPEN WORLD"-ის პროგრამის ფარგლებში, მენეჯმენტურ უნარჩვევებთან დაკავშირებულ ლექცია სემინარებზე.

2012 წლის მაისის თვეში წარმატებით ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით.

2016 წელს ვიმყოფებოდი ქ. პარიზში საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში - საქართველოს საერთო სასამართლოების მოხელეებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.

2016 წლის 21 ნოემბრიდან 2017 წლის 21 მაისამდე ვიყავი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი.

2016 წლის დეკემბერში ვიმყოფებოდი გერმანიაში ქ. ჰამბურგში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.

2017 წლის აპრილში ვიმყოფებოდი საფრანგეთში ქ. სტრასბურგში იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებისათვის გამართულ - სასწავლო ვიზიტში მონაწილეობის მიზნით.

სამუშაო გამოცდილება:

1999-2000 წლებში ვმუშაობდი შუახევის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში - ინსპექტორად.

2002-2003 წლებში გავიარე სავალდებულო სამხედრო სამსახური, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონალურ საამმართველოში.

2004-2005 წლებში ვმუშაობდი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში - დაცვის თანამშრომლად.

2005-2009 წლებში ვმუშაობდი ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ.

2009-2010 წლებში ვმუშაობდი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის უფროსად – საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსად.

2010 წლის 01 ოქტომბერს დავინიშნე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერად.

2011-2018 წლებში ვმუშაობდი ბათუმის საქალაქო სასამართლოს მენეჯერად - საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 11 იანვრის N1/23 გადაწყვეტილებით გავმწესდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით, 2018 წლის 18 იანვრიდან.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2019 წლის 5 ოქტომბერს არჩეული ვიყავი საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 14 დეკემბრის N1/223 გადაწყვეტილებით 2021 წლის 18 იანვრიდან თანამდებობაზე გამწესებული ვარ უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2022 წლის 23 ოქტომბერს არჩეული ვარ საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განკარგულებით 2024 წლის 29 ივლისიდან გავმწესდი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ და დამეკისრა ამავე კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.